აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის საკითხთა კომიტეტი

თემატური მოკვლევა

მოსწავლეთა მასობრივ სპორტში ჩართულობის შესახებ მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის შესწავლა

ანგარიში
2024
ოქტომბერ-თებერვალი

სარჩევი

1. **შესავალი**.....3

2. თემატური მოკვლევის შესახებ.....3

2.1. საკითხის მიმოხილვა 3

2.2. მოკვლევის მიზანი.....4

2.3. თემატური მოკვლევის ჯგუფი.....4

2.4. თემატურ მოკვლევაში ჩართული სუბიექტები.....5

2.5. მოკვლევის მეთოდოლოგია 5

2.6. განხორციელებული ღონისძიებები 6

2.7. მოკვლევის კითხვები 7

3. არსებული მდგომარეობის ანალიზი - დასაბუთებული მოსაზრებებისა და მოსმენების მიმოხილვა 7

3.1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზების მდგომარეობა საჯარო სკოლებში ...7

3.2. ადამიანური რესურსი 8

3.3. ადაპტირებული გარემო 8

3.4. მოსწავლეთა ჩართულობა 9

3.5. მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან 10

3.6. ახალი სტანდარტების დანერგვა და განვითარების პერსპექტივები

4. სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულებები.....12

5. მოკვლევის პროცესში გამოვლენილი მიგნებები 14

6. რეკომენდაციები 15

დანართი 1- თემატური მოკვლევის შესახებ.....16

დანართი 2- თემატური მოკვლევის ტექნიკური პირობები 17

1. შესავალი

თემატური მოკვლევის ანგარიში - ,,მოსწავლეთა მასობრივ სპორტში ჩართულობის შესახებ მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის შესწავლა“ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის ინიციატივას წარმოადგენს.

მოკვლევის ანგარიშში მიმოხილულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების მოსწავლეთა მასობრივ სპორტში ჩართულობის შესახებ მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობა, გაანალიზებულია დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებები. გამოვლენილია პრობლემები და განსაზღვრულია მოკვლევის პროცესში წარმოჩენილი მიგნებები.

შემუშავებულია სფეროს გაუმჯობესებისათვის საჭირო რეკომენდაციები.

2. თემატური მოკვლევის შესახებ

2.1. საკითხის მიმოხილვა

განათლების სისტემის ძირითად მიზანს პიროვნების ჰარმონიული განვითარება წარმოადგენს, რისთვისაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სწორედ სპორტი და ფიზიკური განათლებაა, როგორც საფუძველი იმისა, რომ აქტიური და შრომისუნარიანი მოქალაქეები მივიღოთ.

სპორტი და ფიზიკური განათლება ხელს უწყობს მოსწავლეთა ფსიქო-ფიზიკურ განვითარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის, როგორც ფასეულობის, განმტკიცებასა და იმგვარი უნარ-ჩვევების გამომუშავებას, როგორიცაა: შინაგანი დისციპლინა, ლიდერობა, გუნდური პასუხისმგებლობა, არაძალადობრივი ურთიერთქმედება და სხვა. სკოლამ უნდა შეძლოს შექმნას ყოველივე ზემოჩამოთვლილის დანერგვისთვის აუცილებელი გარემო. ასევე, უდიდესი როლი ეკისრება სკოლისგარეშე სასპორტო/საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროების, მუნიციპალიტეტების მხრიდან მხარდაჭერის მიუხედავად, საჯარო სკოლებს/სასპორტო სკოლებს სხვადასხვა სახის პრობლემა აქვთ სპორტის განვითარების მიმართულებით. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და სპორტული ინვენტარით მომარაგება მთავარ გამოწვევებს წარმოადგენს.

2.2. მოკვლევის მიზანი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის მიერ თემატური მოკვლევისთვის დასახული იყო შემდეგი მიზნები:

- **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებსა და სკოლისგარეშე სასპორტო/საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ჩართულობის შესწავლა**
- **მიღებული ინფორმაციის ანალიზი, პრობლემებისა და გამოწვევების განსაზღვრა**
- **დოკუმენტურად დასაბუთებული დასკვნის მომზადება**
- **რეკომენდაციების გაცემა შესაბამისი უწყებებისთვის, არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და გამოწვევების საპასუხო ქმედითი ნაბიჯების გადადგმის მიზნით**
- **დაინტერესებულ მოზარდებზე მორგებული, კონკრეტული ქმედითი პოლიტიკის შემუშავება გრძელვადიანი მოქმედების პერსპექტივით**

2.3. თემატური მოკვლევის ჯგუფი

მოკვლევა აწარმოეს უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის წევრებმა, კერძოდ:

- **დავით ბაციკაძე** - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, მთავარი მომხსენებელი;
- **ირაკლი ჩავლეიშვილი** - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;
- **ვლადიმერ მგალობლიშვილი** - კომიტეტის წევრი;
- **დავით თედორაძე** - კომიტეტის წევრი;
- **ნადიმ ვარშანიძე** -კომიტეტის წევრი;
- **ელგუჯა ბაგრატიონი** - კომიტეტის წევრი.

თემატურ მოკვლევაზე მუშაობდნენ:

- **ნაირა აბულაძე** – კომიტეტის აპარატის უფროსი;
- **ნატო აბუსელიძე** - კომიტეტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- **ნონა ტაკიძე** – კომიტეტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- **ნინო ანთიძე** - კომიტეტის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

2.4. თემატურ მოკვლევაში ჩართული სუბიექტები

- აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო,
- ქალაქ ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსები,
- ქალაქ ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს სასპორტო სკოლის ხელმძღვანელები,
- ქალაქ ბათუმის 20 საჯარო სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგი,
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის 46 საჯარო სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგი,
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 27 საჯარო სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგი,
- ქედის მუნიციპალიტეტის 29 საჯარო სკოლის საჯარო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგი,
- შუახევის მუნიციპალიტეტის 43 საჯარო სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგი,
- ხულოს მუნიციპალიტეტის 28 საჯარო სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგი.

2.5. მოკვლევის მეთოდოლოგია

2023 წლის 13 სექტემბრის სხდომაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტმა (შემდგომში კომიტეტი, ან განათლების კომიტეტი) მიიღო გადაწყვეტილება მოკვლევის დაწყების შესახებ თემაზე - ,,მოსწავლეთა მასობრივ სპორტში ჩართულობის შესახებ მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის შესწავლა“; ამავე სხდომაზე კომიტეტმა დაამტკიცა მოკვლევის ჯგუფი.

მოკვლევის დაწყებამდე კომიტეტმა საკვლევი თემის ირგვლივ იმსჯელა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან ერთად. თავის მხრივ, მინისტრმაც დაადასტურა კვლევის საჭიროება. შესაბამისად, საკითხის სიღრმისეული შესწავლა და სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი რეაგირების დაწყება კომიტეტმა მნიშვნელოვნად მიიჩნია.

მოკვლევისთვის, საკვანძო შეკითხვების მიხედვით, შედგა ტექნიკური დოკუმენტი კითხვარის სახით, რომელიც კომიტეტის მხრიდან სკოლებსა და მუნიციპალიტეტებს გადაეგზავნათ; მითითებულ ვადაში, საკითხზე პასუხისმგებელმა სუბიექტებმა, წერილობითი ფორმითვე წარმოადგინეს საკუთარი პასუხები და მოსაზრებები.

ინფორმაცია მოკვლევის მიმდინარეობის თაობაზე განთავსდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

მოკვლევის ფორმატში, კომიტეტი შეხვდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ფიზიკური აღზრდის პედაგოგებსა და სასპორტო სკოლის მწვრთნელ-მასწავლებლებს.

თემატური მოკვლევის პროცესში, კომიტეტმა სულ 199 სუბიექტისგან მიიღო წერილობითი ინფორმაცია.

2.6. განხორციელებული ღონისძიებები.

- კომიტეტის გადაწყვეტილება თემატური მოკვლევის დაწყებაზე
- შეხვედრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ფიზიკური აღზრდის პედაგოგებთან
- შეხვედრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის მწვრთნელ-მასწავლებლებთან

მოკვლევის ფარგლებში, კომიტეტს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა სხვადასხვა სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. გარდა წერილობითი მიმართვებისა, მოკვლევაში ჩართულობის გასაზრდელად გაიმართა შეხვედრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში. შეხვედრისას, კომიტეტის წევრებმა ისაუბრეს თემატური მოკვლევის მიზანზე, იმსჯელეს სასპორტო სკოლებსა და საჯარო სკოლებში არსებულ მდგომარეობაზე და მოისმინეს სფეროს წარმომადგენელთა მოსაზრებები. ფიზიკური აღზრდის პედაგოგებმა და რესურსცენტრის თანამშრომლებმა თავიანთი მოსაზრებები დააფიქსირეს საჯარო სკოლების მოსწავლეთა მასობრივ სპორტში ჩართულობის გაზრდის, მოზარდზე მორგებული გარემოს შექმნისა და ახალი სტანდარტების დანერგვის საკითხებზე.

აღინიშნა, რომ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ყოველწლიურად ახორციელებს სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივ პროგრამებს, სადაც ერთ-ერთი პრიორიტეტია შენობის სპორტული დარბაზის მშენებლობა-რეაბილიტაცია და აღჭურვა სპორტული ინვენტარით, თუმცა, რიგი სკოლებისთვის, ჯერ კიდევ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს სპორტული ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა. საჯარო სკოლებში არსებული სპორტული ინვენტარის ბაზა საჭიროებს შევსება-განახლებას. აღნიშნეს, რომ კარგი იქნებოდა თუ საჯარო სკოლების ტერიტორიებზე მოეწყობა დამატებით გარე სივრცეები მინი-სპორტული მოედნებით. ასევე ისაუბრეს პედაგოგების გადამზადებისა და მათთვის ტრენინგების ჩატარების აუცილებლობაზე.

შეხვედრისას, ასევე ითქვა, რომ სასურველია ამუშავდეს სპორტული სექციები სკოლებში არსებული სპორტული დარბაზების ხარჯზე და საამისოდ მიეცეთ დამატებით ანაზღაურება სპორტის მასწავლებლებს.

2.7. მოკვლევის კითხვები

სფეროს შესწავლის მიზნით, თემატური მოკვლევის ჯგუფმა განსაზღვრა ის ძირითადი კითხვები, რომლებიც კვლევის ფოკუსში მოექცა, ხოლო ამ კითხვებზე მიღებულ ინფორმაციას დაეფუძნა მოკვლევის ანგარიში.

1. რა მდგომარეობაშია თქვენს სკოლაში/მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული დარბაზის/სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა? აკმაყოფილებს თუ არა თანამედროვე მოთხოვნებს?
2. სპორტის რომელ სახეობებზეა მორგებული თქვენს სკოლაში/მუნიციპალიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა?
3. რა სახის სპორტული ინვენტარით არის მომარაგებული სკოლა/სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება?

ადამიანური რესურსი

4. როგორია დასაქმებულ პედაგოგთა კვალიფიკაცია?
5. რა ღონისძიებები ტარდება/რა სახის დახმარებაა საჭირო სახელმწიფოს მხრიდან საჯარო სკოლებში სპორტის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით?

ადაპტირებული

6. არის თუ არა ხელმისაწვდომი სპორტული დარბაზი შშმ პირებისთვის?

7. პარასპორტის რომელ სახეობებზეა მორგებული თქვენს სკოლაში/მუნიციპალიტეტში არსებული სპორტულ/საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა?

მოსწავლეთა ჩართულობა

8. სპორტის რომელი სახეობებია მოთხოვნადი და პრიორიტეტული თქვენს მუნიციპალიტეტში?

9. რამდენი და რა სახის სპორტული სექციაა თქვენს სკოლაში/მუნიციპალიტეტში არსებულ სასპორტო-სგანმანათლებლო დაწესებულებაში?

10. რამდენი მოსწავლე ირიცხება თქვენს მუნიციპალიტეტში არსებულ სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში?

11. თუ თვლით, რომ დაბალია მოსწავლეთა ჩართულობა სპორტულ აქტივობებში, თქვენი ვარაუდით, რა არის ამის მიზეზი?

12. რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო იმისთვის, რომ გაიზარდოს მოსწავლეთა სპორტული აქტივობა?

13. რამდენი გოგონა და რამდენი ვაჟი ირიცხება თქვენს სკოლაში/მუნიციპალიტეტში არსებულ სპორტულ-სგანმანათლებლო დაწესებულებაში?

14. რა არის სპორტული აქტივობის კუთხით არათანაბარი გენდერული ბალანსის მიზეზი? (ასეთის არსებობის შემთხვევაში)?

15. რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს სპორტულ აქტივობაში გენდერული ბალანსის გასათანაბრებლად?

16. რა სახის დაფინანსებით იმართება თქვენს მუნიციპალიტეტში არსებულ სპორტულ-სგანმანათლებლო დაწესებულება:
    ა) მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან გაწეული სუბსიდიით;
    ბ) მოსწავლეთა მხრიდან თანადაფინანსებით;
    გ) ადგილობრივი ბიზნესის ჩართულობით;
    დ) სხვა საქმიანობით (გთხოვთ, დაასახელოთ საქმიანობის ტიპი).
17. რა სახის მხარდაჭერას უწევს სახელმწიფო (ადგილობრივი/ცენტრალური ხელისუფლება) სკოლისგარეშე სასპორტო/საგანმანათლებლო დაწესებულებებს?
18. რა სახის დახმარებას საჭიროებს დაწესებულება სახელმწიფოს მხრიდან?

19. მიიჩნევთ თუ არა საჭიროდ და მნიშვნელოვნად სასკოლო სპორტული ინფრასტრუქტურის გამოყენებას სკოლებში სასწავლო საათების დასრულების შემდგომ პერიოდში? (გთხოვთ, განმარტოთ თქვენ მიერ წარმოდგენილი მოსაზრება);

20. რამდენად ხშირად (რა სახის) იმართება თქვენს მუნიციპალიტეტში მასობრივი სპორტის განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებები? (სხვადასხვა სახის შეჯიბრებები, სასკოლო ოლიმპიადები)?
21. როგორ შეაფასებდით სამინისტროებოს და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობას მოზარდთა ფიზიკურ/სპორტულ აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობის თვალსაზრისით?
22. რა სახის ახალი სტანდარტების დანერგვას მიიჩნევთ საჭიროდ სასკოლო სპორტის განვითარებასთან მიმართებაში?

3. საჯარო სკოლებში არსებული მდგომარეობის ანალიზი - დასაბუთებული მოსაზრებების და მოსმენების მიმოხილვა

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ: ,,დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი“.

თემატური მოკვლევის პროცესში კომიტეტის მიერ შემუშავებული ტექნიკური დოკუმენტის (კითხვარის) შესაბამისად, შემოვიდა დასაბუთებული მოსაზრებები, ჩატარდა კომიტეტის გასვლითი სხდომა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში.

მიღებული მოსაზრებები წარმოაჩენს სკოლებსა და სკოლისგარეშე სასპორტო/საგანმანათლებლო საწესებულებებში არსებულ მდგომარეობას, მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს და მოსაზრების ავტორების ხედვებს განვითარების შესაძლო გზებზე. ქვემოთ მოცემულია ამ ინფორმაციის მიმოხილვა, რაც სამუშაო ჯგუფის მიგნებების საფუძველი და რეკომენდაციების წინაპირობაა.

1. საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ყოველწლიურად ახორციელებს სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივ პროგრამებს, სადაც ერთ-ერთი პრიორიტეტია შენობის სპორტული დარბაზის მშენებლობა-რეაბილიტაცია და სპორტული ინვენტარით აღჭურვა.

მიუხედავად ამისა, სკოლებისთვის ჯერ კიდევ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების სკოლების ნაწილს ჯერ კიდევ არ აქვთ სპორტული დარბაზი, ბევრი მათგანი სარგებლობს მხოლოდ ღია სპორტული მოედნით და უმეტესობა მორგებულია სპორტის კონკრეტულ სახეობაზე.

საჯარო სკოლებიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად ირკვევა:

- ქალაქ ბათუმიდან წარმოდგენილია 20 საჯარო სკოლის ინფორმაცია. ამათგან, 11 სკოლას გააჩნია თანამედროვე სტანდარტეთან შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სკოლების უმეტეს ნაწილში სპორტული ინფრასტრუქტურა მოსაწესრიგებელია.
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 27 სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით 2 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, 13-ში დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა, 12 სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა მოსაწესრიგებელია;
- ქედის მუნიციპალიტეტის 29 საჯარო სკოლიდან 2 სკოლის სპორტული დარბაზი შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, 20 დარბაზი ნაწილობრივ შეესაბამება, 7 სარგებლობს გარე პერიმეტრზე არსებული მოედნებით;
- შუახევის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კაპიტალურ სკოლებს აქვთ სპორტული დარბაზი და გარე მოედანი, ხოლო სკოლის შენობათა უმეტესი ნაწილი (30) აგებულია ხის მასალით, არ აქვს სპოტული დარბაზი და სარგებლობს ღია ტიპის მოედნით;
- ხულოს მუნიციპალიტეტის 49 საჯარო სკოლიდან ინფორმაცია მოგვაწოდა 28 სკოლამ. ამათგან, 3 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზი შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, 13 ნაწილობრივ შეესაბამება, 12 სარგებლობს მხოლოდ გარე პერიმეტრზე არსებული მოედნებით;

საჯარო სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ძირითადად მორგებულია სპორტის შემდეგ სახეობებზე: კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ფეხბურთი.

2. ადამიანური რესურსი

როგორც სკოლების მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, დასაქმებულ პედაგოგთა უმეტესი ნაწილი კვალიფიციურია. ამ მხრივ კარგი მდგომარეობაა ქალაქ ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ხულოს მუნიციპალიტეტში.

3. ადაპტირებული

წარმოდგენილი მოსაზრებებიდან ირკვევა, რომ ბათუმის საჯარო სკოლების უმეტესი ნაწილი ადაპტირებულია შშმ პირთათვის, ხოლო მუნიციპალიტეტებში ერთეული სკოლებია მორგებული ამ სეგმენტზე.
პარასპორტის საჭიროება სკოლების უმრავლესობაში არ იკვეთება, შესაბამისად, ეს მიმართულება განვითარებული არ არის.

4. მოსწავლეთა ჩართულობა

მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლებში ძირითადად განვითარებულია: კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მინი ფეხბურთი, ჭადრაკი, გეზრბენი. მაღალმთიანი რეგიონების საჯარო სკოლებში ასევე პრიორიტეტულია ქართული ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, სათხილამურო სპორტი.
წარმოდგენილი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სკოლების უმეტესობას აქვს საშუალება შიდა ან გარე სპორტული სივრცის გამოყენებით მოსწავლეებს მისცეს სპორტული აქტივობის საშუალება რამდენიმე მიმართულებით. ამ მხრივ, უკეთესი შედეგია მუნიციპალური ცენტრების სკოლებში.
გამოიკვეთა რიგი პრობლემები, მაგალითად - სკოლებს, რომელთაც არ აქვთ სპორტული დარბაზი და მხოლოდ გარე სივრცით სარგებლობენ, უამინდობის დროს, ფაქტიურად, საკლასო ოთახში უწევთ გაკვეთილის ჩატარება, რაც გამორიცხავს სპორტულ აქტივობას.
მცირეკონტინგენტიან სკოლებში, მოსწავლეთა არასაკმარისი რაოდენობის გამო, ვერ ხერხდება არა მხოლოდ ასაკობრივი სექციების, არამედ გუნდების ჩამოყალიბებაც კი; შესაბამისად. ფიზიკური აქტივობა მხოლოდ სპორტის ინდივიდუალურ სახეობებზეა მორგებული.
მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში ძირითადად პოპოლარულია სპორტის ისეთი სახეობები, როგორიცაა ფეხბურთი, რაგბი, ჭიდაობა, რაც გენდერული ბალანსის დარღვევის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება. გენდერული არათანაბრობის მიზეზად, ასევე, მიჩნეულია ქალი მწვრთნელ-მასწავლებლების ნაკლებობა. სახელდება დაბალი ცნობიერებაც - სპორტის როლისა და მნიშვნელობის შესახებ - გოგონები უმეტესად თვლიან რომ არ არის აუცილებელი მონაწილეობა მიიღონ სპორტულ აქტივობებში.
გენდერული ბალანსის დაცვის საშუალებად მიიჩნევენ გოგონების რეალური შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ჩართვას სპორტის ინდივიდუალურ, თუ გუნდურ სახეობებში.

ცხრილი 1. საჯარო სკოლებში სპორტული დარბაზების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პედაგოგთა კვალიფიკაციის საერთო მდგომარეობის მაჩვენებელი

მუნიციპალიტეტის დასახელება	**სკოლების რიცხვი**	**მონაცემები წარმოადგინა**	**არსებული მდგომარეობის მაჩვენებელი**				
			მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა			**პედაგოგთა კვალიფილაცია**	
			კარგი	**დამაკმაყოფილებელი**	**არადამაკმაყოფილებელი**	**აქვს**	**არ აქვს**
ბათუმი	**27**	**20**	**15**	**6**	**0**	**27**	**0**
ქობულეთი	**46**	**46**	**6**	**40**	**0**	**45**	**1**
ხელვაჩაური	**35**	**27**	**2**	**13**	**12**	**22**	**5**
ქედა	**29**	**29**	**2**	**20**	**7**	**19**	**10**
შუახევი	**43**	**43**	**8**	**22**	**13**	**32**	**11**
ხულო	**49**	**28**	**3**	**13**	**22**	**23**	**6**
ჯამი	**229**	**193**	**36**	**114**	**44**	**168**	**32**

5. მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან

არსებული მდგომარეობის მიხედვით, საჯარო სკოლებს აქვთ გარკვეული დახმარება სახელმწიფოს მხრიდან, ვინაიდან განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექციებში, მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდი თაობის წარმომადგენელთა შორის, მასობრივი სპორტის განვითარება.

მუნიციპალიტეტებში, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხრიდან ყოველწლიურად ხორციელდება სპორტული დარბაზების და ღია ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობა და სკოლების მომარაგება სპორტული ინვენტარით. პერიოდულათ ეწყობა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება.

6. ახალი სტანდარტების დანერგვა და განვითარების პერსპექტივები

თემატური მოკვლევის ფარგლებში მიღებული წერილობითი და ზეპირი მოსაზრებების განხილვისას სამუშაო ჯგუფმა მოისმინა რამდენიმე საინტერესო მოსაზრება სახელმწიფოს მხრიდან სასკოლო

სპორტის განვითარების, მოზარდზე მორგებული გარემოს შექმნისა და ახალი სტანდარტების დანერგვის საკითხების ირგვლივ.

საჭიროდ მიაჩნიათ სპორტის სახეობის პოპულარიზაცია სხვადასხვა აქტივობებით: შეჯიბრებების, ოლიმპიადების ჩატარება, წამახალისებელი ჯილდოები, ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობები - სპორტის მნიშვნელობისა და როლის შესახებ ხშირი საუბრები, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ სპეციალისტების მოწვევა, სპორტული ტურების მოწყობა, ცნობილ სპორტსმენებთან შეხვედრები (მოწვევა სკოლაში ან გასვლითი აქტივობა), შიდა სასკოლო კონფერენციების/სემინარების ჩატარება, სპრტული კლუბების ჩამოყალიბება/გააქტიურება, სპორტის დღის/კვიერეულის აღნიშვნა სკოლის მასშტაბით, სასკოლო ინფრასტრუქტურით კლასგარეშე სექციების ფორმირება, მოზარდთა მოზიდვა (სელექცია) და სპორტული ინვენტარის განახლება, ქვეყნის მასშტაბით სკოლებს შორის სპორტული შეჯიბრების, სპორტულ/გამაჯანსაღებელი ბანაკების მოწყობა.

სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულებები

მოსწავლე ახალგაზრდობის განვითარება-გაჯანსაღების კუთხით სკოლასთან ერთად უდიდესი როლი ეკისრება სკოლისგარეშე სასკოლო/საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი სპორტული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მორგებულია, როგორც მასობრივ, ასევე, პროფესიული სპორტის სახეობებზე.
მუნიციპალიტეტში მასობრივი სპორტის ხელშეწყობის მიმართულებით ფუნქციონირებს ბათუმის სპორტული ცენტრი, 6 კლუბი. აღნიშნული სერვისებით სარგებლობს 2245 მოსწავლე.
გამოიკვეთა დახურული ტიპის ახალი სპორტული ობიექტების მშენებლობის საჭიროება ადმინისტრაციულ ერთეულებში.
ქალაქ ბათუმში ასევე ფუნქციონირებს მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე, რომელის ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ფუნქციონირებს 18 სახეობის სპორტული სექცია, ადაპტირებულია შშმ პირთა საჭიროებებზე. აღნიშნული სერვისით სარგებლობს 900-მდე გოგონა და 1200 ვაჟი.

ქობულეთის კომპლექსურ სასპორტო სკოლას აქვს ორი საჭიდაო დარბაზი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით; მინი ფეხბურთის კეთილმოწყობილი მოედანი, საჭადრაკო კაბინეტი, ველოსპორტის ორი კაბინეტი. ასევე, სასპორტო სკოლა იყენებს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სპორტულ ბაზებს და დაბა ჩაქვის ე.წ. ძალოსნობის დარბაზს. კომპლექსურ სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს: ძალოსნობის, თავისუფალი ჭიდაობის, ძიუდოს, ფეხბურთის, ჭადრაკის, კალათბურთის, ფრენბურთის, ველოსპორტის, მკლავჭიდის, კარატესა და კრივის ჯგუფები. სასპორტო დაწესებულებაში ირიცხება 449 მოსწავლე.

ხელვაჩაურის სასპორტო სკოლას აქვს 3 სპორტული დარბაზი, რომლებიც ძირითადად აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს. სკოლა ადაპტირებულია შ.შ.მ. პირთათვის და ნაწილობრივ აკმაყოფილებს პარასპორტის პირობებს. განსაკუთრებით მოთხოვნადი და პრიორიტეტულია:ფეხბურთი,ჭიდაობები:ძიუდო-სამბო(გოგონები),ჭადრაკი,რაგბი.

სასპორტო სკოლაში ირიცხება 475 მოსწავლე, 125გოგონა და 350ვაჟი.

ქედის სასპორტო სკოლას გააჩნია ორი სპოტული დარბაზი. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. 2024 წლისათვის იგეგმება კაპიტალური რემონტი. სასპორტო სკოლაში დღეის მდგომარეობით ირიცხება 250 მოსწავლე - 180 ვაჟი, 70 გოგო.

შუახევის მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული დარბაზის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მორგებულია სპორტის სხვადასხვა სახეობებზე, როგორიცაა: ფეხბურთი, კალათბურთი, ჭიდაობა და სათხილამურო სპორტი, ადაპტირებულია შშმ პირთათვის. ირიცხება 400 სპორტსმენი - 341 ვაჟი და 57 გოგონა.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ხულოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით დაგეგმილია არსებული დაბის სასპორტოს სკოლის შენობის კაპიტალური რემონტი, სოფელ ქედლების სათხილამურო ბაზის რემონტი, სოფელ დანისპარაულის სამთო სათხილამურო ბაზის დემონტაჟი და სხვაგან გადატანა.არსებული ბაზები ძირითადად მორგებულია, ჭიდაობის სახეობებზე (ქართული, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი სტილი), კალათბურთზე, ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთზე. სასპორტო სკოლაში ირიცხება 50 გოგონა და 270 ვაჟი. დაახლოებით 100 მოსწავლე ირიცხება საფეხბურთო სკოლა ,,ხიხანში“.

როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან ირკვევა, სპორტულ ცენტრებსა და კლუბებში დასაქმებულ თითქმის ყველა მწვრთნელს აქვს შესაბამისი განათლება, ლიცენზია და სერთიფიკატი.

ცხრილი 2. სკოლისგარეშე სასპორტო/საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა, სექციათა რაოდენობის, მოსწავლეთა ჩართულობის და გენდერული მგრძნობელობის საერთო მდგომარეობის მაჩვენებელი

მუნიციპალიტეტის დასახელება		არსებული მდგომარეობის მაჩვენებელი					
		მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა	სახეობათა რაოდენობა	მოსწავლეთა რაოდენობა	გენდერული მგრძნობელობა		
					გოგონა	ვაჟი	შ.შ.მ.პ ადაპტირება
ბათუმი	1 სპორტული ცენტრი და 6 სპორტული კლუბი	ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელი	16	2245	598	1649	ნაწილობრივ ადაპტირებული
	მ.ვახტანგაძის სახელობის სპორტის სასახლე	კარგი	24	2100	900	1200	ადაპტირებულია, ფუნქციონირებს პარასპორტის 2 სეხეობა
ქობულეთი		დამაკმაყოფილებელი	11	449	96	353	არ არის ადაპტირებული
ხელვაჩაური		კარგი	15	475	125	350	ადაპტირებულია
ქედა		რეაბილიტაციის პროცესშია	9	250	70	180	დაგეგემილია
შუახევი		დამაკმაყოფილებელი	7	400	59	341	ადაპტირებულია
ხულო		რეაბილიტაციის პროცესშია	9	420	50	370	დაგეგმილია

5.მოკვლევის პროცესში გამოვლენილი მიგნებები

გამოიკვეთა მიგნებები, რომელზე მუშაობაც მხარეებს საჭიროდ მიაჩნიათ სფეროში არსებული გამოწვევების დასაძლევად.

მიგნება N1	• მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება
მიგნება N2	• სპორტული ინვენტარის მუდმივად განახლება
მიგნება N 3	• პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება
მიგნება N 4	• ოლიმპიადების, შეჯიბრებების გამართვა სკოლებსა და მუნიციპალიტეტებს შორის
მიგნება N 5	• კონკურსების, ოლიმპიადების, შეჯიბრებების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
მიგნება N 6	• ჩართულობის წახალისების მიზნით ცნობიერების ამაღლება
მიგნება N 7	• სკოლის ბაზაზე არსებული სექციების დაფინანსება, წახალისება
მიგნება N 8	• სპორტულ სახეობებში მეტი ქალი მწვრთნელის ჩართვა
მიგნება N 9	• გარე სპორტული სერვისების მოწყობა უბნების/სოფლების მიხედვით

მოკვლევის შედეგად გაანალიზებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები იმ უწყებებისთვის, რომლებსაც თავისი კომპეტენციისა ფარგლებში შეუძლიათ აღნიშნული პრობლემების სრულად, ან ნაწილობრივ მოგვარება.

5. რეკომენდაციები

რეკომენდაცია	**ადრესატი**
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით	აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
სპორტული ინვენტარის მუდმივად განახლება	აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
პედაგოგთა გადამზადება	აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
ოლიმპიადების, შეჯიბრებების რეგულარულად გამართვა სკოლებსა და მუნიციპალიტეტებს შორის	აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო/რესურსცენტრები
ჩართულობის წახალისების მიზნით ცნობიერების ამაღლება	აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო/სკოლები
სკოლის ბაზაზე არსებული სექციების დაფინანსება, წახალისება	აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო/სკოლები
გარე სპორტული სერვისების მოწყობა უბნების/სოფლების მიხედვით	მუნიციპალიტეტის გამგეობა
სასპორტო სკოლებში ინვენტარის მუდმივად განახლება	მუნიციპალიტეტის გამგეობა
სპორტულ სახეობებში მეტი ქალი მწვრთნელების მოზიდვა/ჩართვა	სასპორტო სკოლების ხელმძღვანელობა

შეჯამება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტმა 2023 წლის 13 სექტემბრის სხდომაზე, მიიღო გადაწყვეტილება მოკვლევის დაწყების შესახებ თემაზე - ,,მოსწავლეთა მასობრივ სპორტში ჩართულობის შესახებ მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის შესწავლა“. ამავე სხდომაზე კომიტეტმა დაამტკიცა მოკვლევის ჯგუფი.

კომიტეტმა ინფორმაცია გამოითხოვა 6 მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებსა და გამგეობებისაგან. მოკვლევის ფარგლებში, კომიტეტში შემოვიდა 198 წერილობითი მოსაზრება. ჩატარდა 2 გასვლითი სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 45-მდე დაინტერესებულმა პირმა. აღნიშნულის საფუძველზე, მოკვლევის ჯგუფმა, გააანალიზა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებსა და სკოლიგარეშე სასპორტო/საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ჩართულობის შესახებ არსებული მდგომარეობა, წარმოადგინა მოკვლევის 9 მიგნება და შესაბამისი უწყებებისთვის წარსადგენად შეიმუშავა რეკომენდაციები.

დანართი 1 – თემატური მოკვლევის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თემატური მოკვლევის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების მოსწავლეთა მასობრივ სპორტში ჩართულობის შესახებ მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის შესწავლა

მთავარი მომხსენებელი - დავით ბაციკაძე
ჯგუფის წევრი - ირაკლი ჩავლეიშვილი
ჯგუფის წევრი -დავით თედორაძე
ჯგუფის წევრი - ნადიმ ვარშანიძე
ჯგუფის წევრი - ელგუჯა ბაგრატიონი

თემატური მოკვლევის მიზანია:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებსა და სკოლისგარეშე სასპორტო/საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ჩართულობის შესწავლა;
- მიღებული ინფორმაციის ანალიზი, პრობლემებისა და გამოწვევების განსაზღვრა
- დოკუმენტურად დასაბუთებული დასკვნის მომზადება;
- რეკომენდაციების გაცემა შესაბამისი უწყებებისთვის არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და გამოწვევების საპასუხო ქმედითი ნაბიჯების გადადგმის მიზნით;
- დაინტერესებულ მოზარდებზე მორგებული, კონკრეტული ქმედითი პოლიტიკის შემუშავება გრძელვადიანი მოქმედების პერსპექტივით.

დანართი 2 - თემატური მოკვლევის ტექნიკური პირობები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თემატური მოკვლევა	
მოსწავლეთა მასობრივ სპორტში ჩართულობის შესახებ მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის შესწავლა	
ტექნიკური მოთხოვნები	
საკითხის შესახებ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტმა 2023 წლის 13 სექტემბრის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება თემატური მოკვლევის დაწყების შესახებ. მოკვლევის თემაა: • მოსწავლეთა მასობრივ სპორტში ჩართულობის შესახებ მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის შესწავლა; • ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასება, ასევე პრობლემებისა და გამოწვევების განსაზღვრა; • მოკვლევის პერიოდში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დოკუმენტურად დასაბუთებული დასკვნის მომზადება; • არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და გამოწვევების საპასუხო ქმედითი ნაბიჯების გადადგმის მიზნით, შესაბამისი უწყებებისთვის რეკომენდაციების გაცემა; • დაინტერესებულ მოზარდებზე მორგებული, გრძელვადიანი მოქმედების პერსპექტივით, კონკრეტული ქმედითი და არსებითი პოლიტიკის შემუშავება.

თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრები	1. დავით ბაციკაძე - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე; 2. ირაკლი ჩავლეიშვილი - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; 3. ვლადიმერ მგალობლიშვილი - კომიტეტის წევრი; 4. დავით თედორაძე - კომიტეტის წევრი; 5. ნადიმ ვარშანიძე - კომიტეტის წევრი; 6. ელგუჯა ბაგრატიონი - კომიტეტის წევრი.
კითხვარი	❖ კომიტეტი იწვევს დაინტერესებულ მხარეებს (იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს) წერილობითი ფორმით დასაბუთებული მოსაზრებების წარმოსადგენად. ❖ დოკუმენტურად დასაბუთებული მოსაზრებები უნდა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს (არ არის აუცილებელი ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. შეგიძლიათ პასუხი/პასუხები წარმოადგინოთ მხოლოდ იმ კითხვა/კითხვებზე, რომლებზეც დასაბუთებული მოსაზრებები გაგაჩნიათ. დასაბუთებული მოსაზრების გამოგზავნისას, აუცილებლად მიუთითეთ ის კითხვა, რომელსაც პასუხობს თქვენი მოსაზრება). **წერილობითი მოსაზრებების წარმოდგენა შეგიძლიათ ქვემოთ მოცემული კითხვარიდან თქვენთვის საინტერესო/თქვენს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით** **სპორტის რომელ სახეობებზეა მორგებული არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა** 23. რა მდგომარეობაშია თქვენს სკოლაში/მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული დარბაზის/სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა? 24. აკმაყოფილებს თუ არა თანამედროვე მოთხოვნებს?სპორტის რომელ სახეობებზეა მორგებული თქვენს სკოლაში/მუნიციპალიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა? 25. რა სახის სპორტული ინვენტარით არის მომარაგებული სკოლა/სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება? **ადამიანური რესურსი** 26. როგორია დასაქმებულ პედაგოგთა კვალიფიკაცია? 27. რა ღონისძიებები ტარდება/რა სახის დახმარებაა საჭირო სახელმწიფოს მხრიდან საჯარო სკოლებში სპორტის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით?

ადაპტირებული

28. არის თუ არა ხელმისაწვდომი სპორტული დარბაზი შშმ პირებისთვის?
29. პარასპორტის რომელ სახეობებზეა მორგებული თქვენს სკოლაში/მუნიციპალიტეტში არსებული სპორტულ/საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა?

მოსწავლეთა ჩართულობა

30. სპორტის რომელი სახეობებია მოთხოვნადი და პრიორიტეტული თქვენს მუნიციპალიტეტში?

31. რამდენი და რა სახის სპორტული სექციაა თქვენს სკოლაში/მუნიციპალიტეტში არსებულ სასპორტო-სგანმანათლებლო დაწესებულებაში?
32. რამდენი მოსწავლე ირიცხება თქვენს მუნიციპალიტეტში არსებულ სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში? თუ თვლით, რომ დაბალია მოსწავლეთა ჩართულობა სპორტულ აქტივობებში, თქვენი ვარაუდით, რა არის ამის მიზეზი? რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო იმისთვის, რომ გაიზარდოს მოსწავლეთა სპორტული აქტივობა?
33. რამდენი გოგონა და რამდენი ვაჟი ირიცხება თქვენს სკოლაში/მუნიციპალიტეტში არსებულ სპორტულ-სგანმანათლებლო დაწესებულებაში?
34. რა არის სპორტული აქტივობის კუთხით არათანაბარი გენდერული ბალანსის მიზეზი? (ასეთის არსებობის შემთხვევაში)?
35. რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს სპორტულ აქტივობაში გენდერული ბალანსის გასათანაბრებლად?

მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან

36. რა სახის დაფინანსებით იმართება თქვენს მუნიციპალიტეტში არსებულ სპორტულ-სგანმანათლებლო დაწესებულება:
    ა) მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან გაწეული სუბსიდიით;
    ბ) მოსწავლეთა მხრიდან თანადაფინანსებით;
    გ) ადგილობრივი ბიზნესის ჩართულობით;
    დ) სხვა საქმიანობით (გთხოვთ, დაასახელოთ საქმიანობის ტიპი).
37. რა სახის მხარდაჭერას უწევს სახელმწიფო (ადგილობრივი/ცენტრალური ხელისუფლება) სკოლისგარეშე სასპორტო/საგანმანათლებლო დაწესებულებებს?
38. რა სახის დახმარებას საჭიროებს დაწესებულება სახელმწიფოს მხრიდან?
39. მიიჩნევთ თუ არა საჭიროდ და მნიშვნელოვნად სასკოლო სპორტული ინფრასტრუქტურის გამოყენებას სკოლებში სასწავლო საათების დასრულების შემდგომ პერიოდში? (გთხოვთ, განმარტოთ თქვენ მიერ წარმოდგენილი მოსაზრება);

	40. რამდენად ხშირად (რა სახის) იმართება თქვენს მუნიციპალიტეტში მასობრივი სპორტის განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებები? (სხვადასხვა სახის შეჯიბრებები, სასკოლო ოლიმპიადები)? 41. როგორ შეაფასებდით სამინისტროებოს და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობას მოზარდთა ფიზიკურ/სპორტულ აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობის თვალსაზრისით? 42. რა სახის ახალი სტანდარტების დანერგვას მიიჩნევთ საჭიროდ სასკოლო სპორტის განვითარებასთან მიმართებაში? თემატური მოკვლევის პროცესში ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გამოაგზავნოს თავისი პოზიცია, თანდართული ტექნიკური მოთხოვნების დოკუმენტის შესაბამისად, მითითებული ვადების დაცვით.
დასაბუთებული მოსაზრებების გამოგზავნის ვადები	ინფორმაციის გამოგზავნის ბოლო ვადაა 15 ოქტომბერი
დასაბუთებული მოსაზრებების გამოგზავნის პირობები	▪ ფაილი არ უნდა აღემატებოდეს 25 MB-ს; ▪ ფაილი უნდა იყოს მხოლოდ WORD-ის ფორმატში; ▪ ტექსტის სიდიდე უნდა შეადგენდეს 3500 სიტყვას და არ აღემატებოდეს 4 გვერდს (A4 ფორმატი); ▪ ყველა ინფორმაცია უნდა იქნეს მოქცეული ერთ ფაილში, მ.შ. დანართები, დამატებითი ინფორმაცია, ფოტოები, მასალები და ა.შ. ▪ წერილობით დასაბუთებულ მოსაზრებაში კარგად უნდა ირკვეოდეს ავტორის/მომხსენებლის ვინაობა: (მოსაზრების შედგენის თარიღი, ავტორის/მომხსენებლის საკონტაქტო ინფორმაცია - ელ-ფოსტა, ტელ. ნომერი); ▪ დასაბუთებული მოსაზრების დასაწყისში საჭიროა მოკლე რეზიუმე წინამდებარე ტექსტის შესახებ. ▪ აუცილებელია ტექსტის დასაწყისში მოკლედ იყოს წარმოდგენილი პოტენციური მომხსენებლის შესახებ: • იურიდიული პირის შემთხვევაში - ორგანიზაციული ფორმა, ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი, საქმიანობის სფერო. • ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი, გვარი, პირადი ნომერი და საქმიანობის სფერო. ▪ არ არის აუცილებელი კომიტეტის მიერ დასმულ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. შეგიძლიათ პასუხი/პასუხები წარმოადგინოთ მხოლოდ იმ კითხვა/კითხვებზე, რომლებზეც დასაბუთებული მოსაზრებები გაგაჩნიათ. დასაბუთებული მოსაზრების გამოგზავნისას, აუცილებლად მიუთითეთ იმ კითხვის ნომერი, რომელსაც პასუხობს თქვენი მოსაზრება. ▪ აბზაცი დანომრილი უნდა იყოს პარაგრაფებად.

	▪ ტექსტში მოცემული უნდა იყოს დეტალური ფაქტობრივი მონაცემები, რომელიც სამუშაო ჯგუფს მისცემს შესაძლებლობას გააკეთოს სწორი ანალიზი/დასკვნა. ▪ ტექსტში ასევე შესაძლოა იყოს ცალკეული რეკომენდაციები და შეხედულებები. დასაბუთებული მოსაზრება უნდა გამოიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: **abuladzenaira15@gmail.com**
თემატური მოკვლევის პროცედურის შესახებ	**დასაბუთებული მოსაზრებების გასაჯაროება წერილობითი ფორმით** • დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი მოსაზრებები საჯაროა და კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში განთავსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე; • ნებისმიერ მსურველს ექნება საშუალება, გაეცნოს წარდგენილ მოსაზრებებს. **დასაბუთებული წერილობითი მოსაზრებების მიღების შემდეგ, კომიტეტი:** • შეისწავლის მიღებულ მოსაზრებებს; • გამოავლენს იმ პირებს, რომლებიც შემდგომში მოწვეული იქნებიან კომიტეტში, ზეპირი მოსმენის ეტაპზე, სადაც წარმოადგენენ დასაბუთებულ მოსაზრებებს მომხსენებლის სტატუსით. ზეპირი მოსმენა გაიმართება კითხვა-პასუხის რეჟიმში; • მოსაზრების ავტორებს შეუძლიათ, მიმართონ კომიტეტს დასაბუთებული მოსაზრების არგამოქვეყნების თხოვნით, რისი მიზეზიც მათ მოსაზრების წერილობით წარდგენის დროს უნდა დააფიქსირონ; • კომიტეტს არ გააჩნია ზეპირ მოსმენაზე ყველა დასაბუთებული წერილობითი მოსაზრების ავტორის მოსმენის ვალდებულება. **ანგარიშის მომზადება და წარდგენა** • კომიტეტი მოამზადებს შემაჯამებელ დასკვნას/ანგარიშს; • შემაჯამებელ ანგარიშში აისახება კომიტეტის დასკვნები და რეკომენდაციები. • კომიტეტის რეკომენდაციები შესაძლებელია წარედგინოს უმაღლეს საბჭოს ან რეაგირებისათვის ქვემდებარეობით გადაიგზავნოს.